ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N10
24 ივნისი 2022 წ.

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25-მაისის N-09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის,93-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25-მაისის N-09 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.ფიზიკური პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებელი განისაზღვროს 1(ერთი)-ლარი ერთ სულზე,მაგრამ არაუმეტეს 3(სამი) ლარისა სულზე, ამასთან სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4(ოთხი)სულით ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად;''

2.დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით,

,,ა) საოჯახო სასტუმროებისათვის, გარე მოვაჭრეებისათვის 20-ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე“.

ბ) მაღაზიები, აფთიაქები, სილამაზის სალონები - 10.კვ/მ-მდე ფართი 10-ლარი, 10კვ/მ ზემოთ 20-ლარი.

გ) სასტუმრო, საჯარო სკოლები, ბენზოგასამართ სადგურები და საავადმყოფო 50-ლარი.

დ) კვების ობიექტები 30 ლარი.

ე)სხვა დაწესებულებებისათვის 20(ოცი)-ლარი.''

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი გაზდელიანი